პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

26 აგვისტო შაბათი, 1989 წ.
№ 165 (10 084) ▲ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

**დადგენილება № 427**

*1989 წლის 15 აგვისტო, ქ. თბილისი*

# ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცდეს შემუშავებული და რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობის მიერ მოწონებული ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა.
2. დაევალოს რესპუბლიკის ყველა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, ადმინისტრაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას უზრუნველყონ ქართული ენის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განუხრელი და დროული შესრულება.
3. ყველა ორგანიზაციამ, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული პროგრამის შესრულებასთან, ორი თვის ვადაში დაამუშაოს და წარადგინოს საქართველოს მინისტრთა საბჭოში კონკრეტული წინადადებები, მათი რეალიზაციის ვადების ჩვენებით.
4. ამ დადგენილების შესრულებისადმი კონტროლი დაეკისროთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმს.

| | | |
|---|---|---|
| საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
| გ. გუმბარიძე. | ო. ჩერქეზია. | ნ. ჩიტანავა. |

# იაპონია, ისრაელი... ვინ იქნება შემდეგი?

## წელს საქართველოში პირველად ჩატარდება საერთაშორისო შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში

**ისრაელის** სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ ქართული ჭიდაობის საქართველოს ღია ჩემპიონატში, რომელიც მიმდინარე წლის ნოემბერში გაიმართება თბილისში. ამას მოწმობს ისრაელის სპორტის ფედერაციისა და „საქართველოდან ამოსულთა" საზოგადოების ოფიციალური განაცხადი, რომელიც მიიღო ჩვენი რესპუბლიკის სპორტსახკომმა.

— განაცხადით თუ ვიმსჯელებთ, ისრაელის დელეგაციის შემადგენლობაში ცხრა კაცი იქნება. აქედან ხუთი — სპორტსმენი, — თქვა რესპუბლიკის სპორტსახკომის ჭიდაობის სამმართველოს ქართული ჭიდაობის წამყვანმა ინსპექტორმა, წარსულში ცნობილმა ფალავანმა სიმონ მაისურაძემ.— როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, ყველა ისინი საქართველოდან არიან ამოსულები. თავის დროზე ისრაელში, ისე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, გავგზავნეთ მიწვევა ჩვენს ტურნირში მონაწილეობისათვის, ასპარეზობის გამართვის წესები და დებულება, ქართული ჭიდაობისათვის ტრადიციული მუსიკის ჩანაწერი. უახლოეს მომავალში ამ ქვეყანაში გაემგზავრებიან ჩვენი სპეციალისტები, რომლებიც ისრაელ მოჭიდავეებთან გამართავენ პრაქტიკულ მეცადინეობას. სხვათა შორის, ისრაელი მეორე ქვეყანაა იაპონიის შემდეგ, რომელმაც ოფიციალური თანხმობა განაცხადა ქართული ჭიდაობის საქართველოს აბსოლუტურ ჩემპიონატში მონაწილეობაზე.

● **გულახდილად რომ ვთქვათ, დღეს ქართული ჭიდაობის ნახვა მისი საუკეთესო შესრულებით არცთუ ისე ხშირად გვიწევს...**

— გეთანხმებით, წლების განმავლობაში ბევრი რამ თანდათანობით დავიწყებას მიეცა. უწინარეს ყოვლისა, ეს მოხდა იმის გამო, რომ ფართოდ გავრცელდა ჭიდაობის კლასიკური სახეობები, რომლებმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს. მათ გარკვეულწილად მოახდინეს გავლენა ქართულ ჭიდაობაზეც, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა დინამიზმით, სიფიცხით, ილეთების კასკადით. ახლა კი ორთაბრძოლებში უფრო ჭარბობს პრაქტიციზმი, ნაკლებია რომანტიკა, სანახაობითი მხარე. და მაინც, ქართული ჭიდაობა იყო და რჩება საერთაშორისო ასპარეზზე ქართველ მოჭიდავეთა წარმატებების საფუძველი. ჩვენი ფალავნები, რომლებმაც მისგან ისესხეს მრავალი ეფექტიანი ილეთი, წარმატებით იყენებდნენ და ახლაც იყენებენ მათ თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, ძიუდოში. თანაც, ბევრ მათგანს აქვს ქართული ჭიდაობიდან აღებული თავისი „საფირმო" ილეთი. მაგალითად, შოთა ჩოჩიშვილი ჩინებულად სარგებლობდა ილეთით „ბრუნვა", თემურ ხუბულური — „კისრულით" და „ შუაკაურით", შოთა ხაბარელი — „მოგვერდით"...

● **რამდენად რეალურია თქვენი იმედი, რომ ქართული ჭიდაობა პოპულარული გახდება სხვა ქვეყნებში?**

— ოპტიმიზმით აღსავსენი ვართ. დღეს ხომ მთელ მსოფლიოში ჩინებულად იცნობენ ეროვნული ჭიდაობის ისეთ სახეობას, როგორიც არის ძიუდო. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სპორტსმენი ტოლს არ უდებს ძიუდოს მამამთავრებს. სხვა საქმეა, რომ მსოფლიო ძიუდოში ჩამოყალიბდა რამდენიმე სტილი, რომლებიც ეფუძნებიან ეროვნულ ტრადიციებს და თავისებურებებს. ქართული ჭიდაობა კი ბევრი რამით წააგავს ძიუდოს და მისი ათვისება არ გაძნელდება. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ჭიდაობა ძალზე მიმზიდველია, არ გამოვრიცხავთ, რომ დროთა განმავლობაში მასშიც დაისახება სხვადასხვა მიმართულება, რომლებიც დაუახლოვდება ტრადიციულ ქართულ სტილს. სხვათა შორის, ქართული ჭიდაობა რჩება ჭიდაობის ყველაზე ჰუმანურ, მე ვიტყოდი, ყველაზე რაინდულ სახეობად — ჩვენთან გამორიცხულია ორთაბრძოლა ჩოგბჯენში წაქცეულ მეტოქესთან და შეტევა ზურგიდან. მთელი ორთაბრძოლის განმავლობაში ათლეტები დგანან ფეხზე, ერთმანეთის პირისპირ.

● **როგორი იქნება საქართველოს ღია ჩემპიონატის ფორმულა?**

— პირველ ეტაპზე ორთაბრძოლები გაიმართება ოთხ წონითს კატეგორიაში — 80, 90, 100 კილოგრამამდე და 100 კილოგრამზე მეტ წონითს კატეგორიაში. პირველ და მესამე წონითს კატეგორიებში უძლიერესები შეადგენენ ერთ ნახევარფინალურ წყვილს, ორ დანარჩენ წონით კატეგორიაში გამარჯვებულები კი — მეორეს. ნახევარფინალების გამარჯვებულები გაითამაშებენ საქართველოს პირველი ფალავნის წოდებას. ლაურეატებს ელით სოლიდური პრიზები, მათ შორის ფულადიც. სხვათა შორის, ტურნირის სპონსორია თბილისის საწარმოო გაერთიანება „თეთრონი". წამახალისებელ პრიზს მიიღებს ჩემპიონატის უკლებლივ ყველა მონაწილე. არც გულშემატკივრები დაგვივიწყებია, რომლებიც 24-26 ნოემბერს მოვლენ სპორტის სასახლეში. ისინი შეძლებენ შეიძინონ ტურნირის სიმბოლიკით დამშვენებული სხვადასხვა სუვენირი.

**შ. შალოლაშვილი,**
**საქინფორმის კორ.**



სსრ კავშირის ჩემპიონატი რაგბიში

# „აიას" „ოქროს ქულები"

**სამკვირიანი** შესვენების შემდეგ უმაღლესი ლიგის რვა საუკეთესო გუნდმა განაახლა ასპარეზობა. დაიწყო შეჯიბრება ნახევარფინალურ ქვეჯგუფებში და თითოეულ ქულასაც ოქროს ფასი დაედო. საქმე ისაა, რომ ჩემპიონატის საბოლოო ცხრილში გუნდებს მხოლოდ ამიერიდან მოპოვებული ქულები ჩაეთვლებათ, ტურნირის საწყისი 22 ტურის მონაგარი კი გაუქმდება.

ბრწყინვალედ დაიწყო შეჯიბრების გადამწყვეტი ეტაპი ქვეყნის ორგზის ჩემპიონმა ქუთაისის „აიამ". თუ ქუთაისელები აქამდე ერთგვარად ჩრდილში იდგნენ და ძალების უმიზნოდ ხარჯვას ერიდებოდნენ, ახლა, როცა ყოველი მატჩის მოგება ჩემპიონობისაკენ გადადგმული თითო ნაბიჯის ტოლფასია, გუნდი უდანაკარგოდ ასპარეზობს. ჯერ იყო და, ქართველმა მორაგბეებმა კრასნოიარსკში მოუგეს ერთ-ერთ უმთავრეს კონკურენტს — ადგილობრივ ეტს-ს (14:13), შემდეგ ქუთაისში სძლიეს თბილისის „ელმაველს" (13:8), მოაგროვეს 4 „ოქროს" ქულა და ჩემპიონობისათვის ბრძოლაშიც დაწინაურდნენ.

ქუთაისელთა პოზიციები ერთიორად განამტკიცა სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდის უეცარმა წარუმატებლობამ. მოჩინოელებმა შინ ვერას გახდნენ რვათა ტურნირის აუტსაიდერთან — კიევის „ავიატორთან" (ფრე —15:15) და უაღრესად საჭირო ქულა დაკარგეს. ფრედ 9:9 დამთავრდა მოსკოვის კლუბების — „ლოკომოტივისა" და „სლავას" მატჩიც. არ გამართულა ეტს-სა და მოსკოვის „ფილის" შეხვედრა.

ამრიგად, უკვე გამოვლინდა სამი გუნდი („აია", სსა, ეტს), ვინც დღეიდან ჩემპიონობისათვის იბრძოლებს. პირველობის მეოთხე პრეტენდენტი „ლოკომოტივისა" და „სლავას" მეტოქეობაში გაირკვევა.

დღეისათვის გათამაშების ცხრილები ასე გამოიყურება (ქულათა გრაფაში ფრჩხილებში აღნიშნულია „ოქროს ქულათა" რაოდენობა):

**„ა" ქვეჯგუფი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სსა | 23 | 17 | 3 | 3 | 37 (1) |
| „ლოკომ." | 23 | 14 | 1 | 8 | 29 (1) |
| „სლავა" | 23 | 10 | 3 | 10 | 23 (1) |
| „ავიატ." | 23 | 10 | 2 | 11 | 22 (1) |

**„ბ" ქვეჯგუფი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| „აია" | 24 | 16 | 3 | 5 | 35 (4) |
| ეტს | 23 | 17 | 0 | 6 | 34 (0) |
| „ელმავ." | 23 | 10 | 3 | 9 | 22 (0) |
| „ფილი" | 22 | 9 | 3 | 10 | 21 (0) |

მომდევნო ტურში, 27 აგვისტოს, „აია" ისვენებს, „ელმაველი" კი „ფილის" უმასპინძლებს.





მიწის ყივილი...

# სიმღერა საქართველოში

**ბედის** უკუღმართობის გამო 1877 წელს თურქეთს გადახვეწილი ერთ-ერთი ქართველი კაცის შვილთაშვილი, მხოლოდ ახლა, საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ ეწვია, დიახ, სტუმარივით ეწვია წინაპართა მიწას. მზია, თინიკო და დათო გვარად ბრეგვაძეები არიან, მათი დედა რესმიე ქალიშვილობაში თავაძის გვარს ატარებდა. გულში კი იცოდნენ თავიანთი ქართველობა, ოღონდ თურქულმა გარემომ მათ გვარებსაც დაატყო თავისი ნიშანი.

მზია უფრო ადრე, წელიწადნახევრის წინ ჩამოვიდა თბილისში და ჩვენი კონსერვატორიის სტუდენტი გახდა. ქართულად გამართულად ლაპარაკობს, რასაკვირველია. დედაც სხვა ქართველ ქალებში იქნებ ვერც გამოარჩიოთ. თინიკოსა და დათოს ცოტა უჭირთ, მაგრამ... ამასაც მალე მოევლება, იფიქრებ მაშინვე, დაძმის ქცევასა და გამომეტყველებაში უდიდეს ცნობისწადილს რომ შეამჩნევ.

ქართულად გამართულად მღერიან. სიმღერას, მით უმეტეს მშობლიურს, აქვს ასეთი ძალა... სუფრაზე დების სიმღერამ აღტაცებაში მოიყვანა ყველა...

დათო კი... დათოს უნარს ამ შემოდგომაზე ვნახავთ, როდესაც სპორტის ისტორიაში ჩვენთან პირველად გაიმართება საერთაშორისო ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. დათო მოჭიდავე ყოფილა. იგი ქართველი ფალავნების შერკინების სანახავად ჩამოვიდა წინაპართა მიწაზე, და, ცხადია, მზიას მოსანახულებლად... დედა და დაც წამოჰყვნენ...

საქართველოს სპორტსაკომშიც დატრიალდნენ. ქართულ ჭიდაობაში ასპარეზობის მოწყობას აბა, რა უნდოდა, მაგრამ მასპინძლებს სურდათ ყველაფერი რაც შეიძლება უკეთესად გამოსულიყო. არჩევანი კასპის რაიონის სოფელ ხოვლეზე შეაჩერეს — ქართული ჭიდაობის ერთ-ერთ ფუძეზე, სადაც შესანიშნავი გადახურული სარბიელიც აქვთ...

მასპინძელთა სასახელოდ, დამსწრეები ირწმუნებიან, ასეთი დონის შეჯიბრება ზოგ საერთაშორისო ტურნირზეც არ გვინახავსო. საჭიდაო წრეში ერთმანეთს ცვლიდნენ ხანდაკელი, მეტეხელი, ნოსტელი, ქვემოჭალელი, ყარალაჯელი, ალაიანელი, დოესელი და, ცხადია, ხოვლელი ფალავნები. შეჯიბრების შემდეგ დათოს ქართული საჭიდაო ჩოხა აჩუქა წარსულში შესანიშნავმა ფალავანმა სიმონ მაისურაძემ, ხოლო ჭიდაობის სამმართველოს უფროსმა ომზარ შოშიტაშვილმა — ინგლისურ და ფრანგულ ენებზე ნათარგმნი ქართული ჭიდაობის წესები.

დიდი სუფრა კი, ქართული ტრადიციისამებრ, მერე გაიშალა, დების სიმღერაც იქ მოისმინა ხალხმა.

უკვე უხმეველია, ნოემბერში თბილისის სპორტის სასახლეში ახმიანდება ცეცხლოვანი ქართული საჭიდაო და ... დიქტორი გამოაცხადებს: დავით ბრეგვაძე... თურქეთი.

**გიორგი ჩოჩიშვილი,**
**„ლელოს" სპეც. კორ.**

**სურათებზე:** მარჯვნიდან — რესმიე, თინიკო, მზია და დათო ქართულ ჭიდაობას უცქერენ.

ეროვნული ინტერესების სამსახურში

# საქართველოს პროფესიული კავშირების კონცეფციისათვის

**დღეს არ არსებობს განყენებული თემები, ისევე როგორც არ არსებობს განყენებული საქმე. ყველა და ყველაფერი ერთ მიზანს — საქართველოს უკეთეს მერმისს, მის ბედნიერ ხვალინდელ დღეს უკავშირდება.**

**არც რესპუბლიკის სპორტული სუვერენიტეტი გახლავთ ის საკითხი, რომელიც შეიძლება საერთო სოციალური და პოლიტიკური ამოცანებიდან განკერძოებით გადაიჭრას. ავიღოთ საქართველოს პროფკავშირების საქმიანობა. ადამიანების ინტერესების ყველაზე ფართო წრეს, მათ შორის სოციალურ სფეროდან, სწორედ პროფკავშირები მოიცავს. ამ საკითხებთან კი პირდაპირ კავშირშია პიროვნების ჰარმონიული განვითარება, მოსახლეობის გაჯანსაღება, ქართული სპორტის შემდგომი წინსვლა.**

**ცხოვრების ცალკე დარგში და სფეროში პრობლემების გადაწყვეტა ჩვენი საერთო წინსვლის, ჩვენს საერთო მიზანთან მიახლოებისა და საბოლოო გამარჯვების გარანტიაა.**

**ამდენად საგულისხმოდ მიგვაჩნია ის მოსაზრებები, რომელსაც წერილის ავტორი საქართველოს პროფესიული კავშირების კონცეფციის შემუშავებასთან დაკავშირებით გამოთქვამს.**

**საქართველოს** რესპუბლიკის უკლებლივ ყველა პროფესიული კავშირი, საქართველოს პროფესიული კავშირების საბჭო თავის ხმას უნდა უერთებდეს ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებულ ძახილს და დადგეს საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წინა ხაზზე.

ერთიანი, ძლიერი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოსათვის ბრძოლა უნდა იყოს საქართველოს პროფკავშირების წმინდათაწმინდა მიზანი და ამოცანა.

ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს პროფკავშირებმა უნდა გამართონ საქმიანი, პრინციპული ურთიერთპატივისცემის საფუძველზე დამყარებული დიალოგი რესპუბლიკაში მოქმედ ყველა პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან, სახალხო ფრონტთან, სამეურნეო ორგანოებთან, ფორმალურ თუ არაფორმალურ, რელიგიურ, ეკოლოგიურ და სხვა ორგანიზაციებთან და ასოციაციებთან, სხვა რესპუბლიკების სახალხო ფრონტებთან, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობით ხელს უწყობენ ჩვენი ეროვნული მოძრაობის აღმავლობას.

საქართველოში პროფკავშირების განვითარება უნდა მოხდეს დარგობრივი პროფესიული კავშირების გაძლიერების, უფლებების გაფართოების გზით, ერთიანი მაკოორდინებელი ცენტრის საქართველოს პროფსაბჭოს შენარჩუნებით.

საქართველოს პროფკავშირები უნდა გათავისუფლდნენ მთლიანად საკავშირო პროფსაბჭოს მეურვეობისაგან, გახდნენ დამოუკიდებელნი, როგორც ორგანიზაციულად, ასევე ფინანსურ-ეკონომიკურ სფეროში. ყველა დარგობრივი პროფესიული კავშირი უნდა სრულად ფლობდეს როგორც პროფკავშირულ ბიუჯეტს, ასევე სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტსაც. პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტები, არჩევით ორგანოს — — სარევიზიო კომისიების მეშვეობით, ანგარიშვალდებულნი უნდა იყვნენ მხოლოდ პროფკავშირის წევრების მიმართ, ვისი მეშვეობითაც დგება ეს ფონდები.

საქართველოს პროფსაბჭოს, ასევე დარგობრივ პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებს, სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ გაერთიანდნენ საკავშირო პროფსაბჭოს ან შესაბამისი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში, ასევე საერთაშორისო პროფმოძრაობის სხვადასხვა ცენტრებში.

საჭიროდ მიგვაჩნია დაჩქარდეს ეროვნული პროფკავშირების წესდების შემუშავება, რათა იგი დამტკიცდეს საქართველოს პროფკავშირების ყრილობაზე. ასევე უნდა შემუშავდეს საქართველოს პროფკავშირების ახალი სტრუქტურა, უარყოფილი იქნას მოძველებული ბიუროკრატიული რგოლები, (ასეთებად მიმაჩნია პირველად ორგანიზაციებში პროფჯგუფები, საშუალო რგოლში — საოლქო კომიტეტები), განხორციელდეს ორსაფეხურიანი მართვა, გაძლიერდეს პირველადი პროფორგანიზაციების უფლება-მოვალეობანი.

პროფკავშირული ცხოვრების აქტივიზაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პროფკავშირულ კადრებს. კატეგორიულად და საბოლოოდ უნდა გათავისუფლდეს ე. წ. დირექტორთა „ჯიბის“ პროფაქტივისაგან, ზემოდან შემოთავაზებული კანდიდატებისაგან. პროფკავშირული ლიდერების არჩევნები უნდა ჩატარდეს თავისუფლად, სრული და რეალური დემოკრატიის პირობებში, მთელი კოლექტივის აზრის გათვალისწინებით.

პროფკავშირის მთავარ ფუნქციად კვლავ რჩება მშრომელთა სოციალური უფლებების და ინტერესების დაცვა. თვით ეს გარემოება ავალდებულებს პროფკავშირს, იყოს მებრძოლი, პრინციპული და შეუვალი, როცა საქმე ადამიანის სასიცოცხლო ინტერესების დაცვას ეხება. უნდა შესწევდეს უნარი წამოწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს, პრობლემა, რომელიც წინ ეღობება, დაძლიოს.

პროფკავშირული კომიტეტები არ უნდა გაემიჯნონ საგაფიცვო კომიტეტებს. ამასთან, ღრმად გვწამს, რომ იქ, სადაც პროფორგანიზაცია თავის სიმაღლეზეა, მტკიცედ დგას მშრომელთა სოციალური უფლებების და ინტერესების სადარაჯოზე, გაფიცვები არ იქნება ერთადერთი ფორმა პრობლემების გადაწყვეტისა. და თუ ცხოვრება ისე განვითარდა, რომ მშრომელთა სამართლიან მოთხოვნებს წინ გადაეღობა შეუვალი ბიუროკრატიული ჯებირი და მის გადასალახავად ერთადერთი გზა გაფიცვა რჩება, მაშინ გაფიცვის ორგანიზატორები პროფკავშირის კომიტეტი, პროფლიდერები უნდა იყვნენ. ამით მშრომელთა ინტერესებისათვის ბრძოლის მთელი პასუხისმგებლობაც თავის თავზე უნდა აიღოს. მხოლოდ ასეთი პროფკავშირი სჭირდება მშრომელებს!

პროფკავშირები არ უნდა ჩამორჩნენ რესპუბლიკაში მიმდინარე პროგრესულ მოვლენებს. ისინი უნდა იყვნენ უმნიშვნელოვანესი საერთო-ეროვნული საკითხების გადაწყვეტისათვის ბრძოლის ავანგარდში, საკითხებისა, რომლებიც ეხება ეროვნებათაშორის ურთიერთობას, დემოგრაფიას, ეკოლოგიას, ეროვნულ კულტურას, მეცნიერებას, ავიღოთ თუნდაც სულ ახალი ფაქტი: გაზეთი „ლელო“ ფართოდ აშუქებს საქართველოში ეროვნული ოლიმპიური მოძრაობის ჩასახვის პროცესს, დღის წესრიგში წამოიწია რესპუბლიკის სპორტული სუვერენიტეტის გარანტიის მოპოვების, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის საკითხმა. ეს უდავოდ მისასალმებელი და გადაუდებლად მოსაგვარებელი ღონისძიებაა. საქართველო იმსახურებს სპორტში სრულ სუვერენიტეტს, იმსახურებს ოდინდელი ტრადიციებისა და თანამედროვე მიღწევების გამოც. ამ მოძრაობას ბევრი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ასოციაცია და ცნობილი პიროვნება გამოეხმაურა. ცხადია, განზე არც პროფკავშირთა რესპუბლიკური სპორტსაზოგადოება დგას, მაგრამ პროფკავშირებს, მის დარგობრივ კომიტეტებსაც გვმართებს აქტიურობა, თანადგომა, ფაქტობრივად ჩვენი დარგობრივი პროფკავშირები ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა უზარმაზარ არმიას მოიცავენ მთელ რესპუბლიკაში.

საქართველოს პროფსაბჭომ უნდა შეცვალოს თავისი ფორმალური დამოკიდებულება სახალხო დეპუტატების არჩევნებისადმი, ეს ეხება ყველა დონეს, დაწყებული ადგილობრივი საბჭოებიდან, დამთავრებული საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატებით. მიგვაჩნია, რომ სახალხო დეპუტატი პროფკავშირებიდან უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ ღირსეული პროფკავშირული მოღვაწე. რაც უკანასკნელ არჩევნებზე მოხდა, აღარ უნდა განმეორდეს. მშრომელებისათვის სრულიად გაუგებარია, როცა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარეს სახალხო დეპუტატად ასახელებენ კომპარტიიდან და არა პროფკავშირებიდან. ხოლო საქართველოს პროფკავშირებს სსრკ უმაღლეს საბჭოში წარმოადგენს სახალხო დეპუტატი პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიიდან.

განა ნორმალურად ჩაითვლება ის გარემოება, რომ 26 დარგობრივი პროფკავშირიდან არც ერთი ლიდერი არ არის არჩეული საქალაქო საბჭოს დეპუტატადაც კი, რომ არაფერი ვთქვათ რესპუბლიკის პარლამენტზე?

დროა პროფკავშირებს თავიანთი მებრძოლი წარმომადგენელი ჰყავდეს ყველგან, სადაც მშრომელი ადამიანის ბედ-იღბალი წყდება.

აი, ასეთია ჩვენი შენიშვნები საქართველოს პროფესიული კავშირების კონცეფციისათვის, ასეთად წარმოგვიდგენია ხვალინდელი საქართველოს პროფკავშირები.

**კარლო ქრისტესიაშვილი,**
**თევზის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.**



ალექსანდრე ტატარაშვილის ფოტო.

პიონერულ ქალაქ „მზიურში“ გაშენდა ჩოგბურთის ახალი მოედნები.

## მკითხველი — გაზეთი

**როგორც „ლელოდან“ შევიტყვე, საქართველოს რაგბის კავშირი საერთაშორისო საბჭოს (ირბ) მოკავშირე წევრად გახდომას აპირებს. რადგანაც რაგბი ოლიმპიადების პროგრამაში არ შედის, მაინტერესებს, ჩაეთვლება თუ არა ირბ-ის წევრობა საქართველოს ეოკ-ს სოკ-ის წევრად აღიარებისათვის საჭირო სათვალავში?**

**ზაზა ზვიადაძე.**
**თბილისი.**

**სამწუხაროდ,** არა, თუმცა აქ რაგბის არაოლიმპიური სტატუსი არაფერ შუაშია. საქმე ისაა, რომ ირბ-ის გარდა არსებობს კიდევ ერთი სარაგბო გაერთიანება — სამოყვარულო რაგბის საერთაშორისო ფედერაცია (ფირა). სწორედ ამ უკანასკნელს (და არა ირბ-ს) თვლის სოკ-ი მსოფლიოში რაგბის წარმმართველ ორგანიზაციად. სხვა საკითხია, თუ რამდენად გამართლებულია სოკ-ის პოზიცია, მით უფრო, რომ სწორედ ირბ ადგენს თამაშის წესებს, აწყობს მსოფლიო თასის გათამაშებას, მისი შვიდი წამყვანი წევრი კი, მსოფლიო რაგბის აღიარებული ლიდერი, ფირა-ს წევრი არაა. ეტყობა, სოკ-ის მიერ ფირა-ს ცნობაში გადამწყვეტ როლს თამაშობს, ერთი მხრივ, ირბ-ის მოღვაწეთა მედიდურობა და სამოყვარულო პრინციპების მეტისმეტი ერთგულება (რაც სოკ-ის დღევანდელ კურსს აღარ შეეფერება), მეორე მხრივ კი — პირადი მოტივები: ფირა-ს პირველი ვიცე-პრეზიდენტი, მაროკოელი მოჰამედ ბენჯელუნი ხომ სოკ-ის ერთობ გავლენიანი წევრია.

გამოხმაურება გიორგი რთველიაშვილის წერილზე გაზეთ „ლელოს“ რედაქციისადმი

## დახმარების ხელს უწვდიან...

**ეს წერილი 24 აგვისტოს გამოქვეყნდა ჩვენს გაზეთში. ახალგაზრდა სპორტსმენის ბედმა ბევრი შეაწუხა, პირველები სპორტული ორგანიზაციები გამოგვეხმაურნენ და, ალბათ, ასეც უნდა ყოფილიყო.**

**რესპუბლიკის სპორტსახკომის ხელმძღვანელობამ გვაცნობა, რომ დაინვალიდებული ახალგაზრდა სპორტსმენისადმი დახმარების პრაქტიკული ღონისძიებების გატარება კონტროლზეა აყვანილი. სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ეთხოვა დეტალურად გაარკვიოს რა გადაუდებელი დახმარება ესაჭიროება ავადმყოფს. სპორტსახკომი მზადაა თბილისში, სასტუმროში გადმოიყვანოს ლოგინად ჩავარდნილი სპორტსმენი, რომ საჭირო სამედიცინო დახმარება მას ყოველდღიურად და გადაუდებლად ჩაუტარდეს. სასტუმროს ხარჯებს გაიღებს სპორტსახკომი.**

**გუშინ დილით დაგვირეკეს თბილისის სპორტკომიტეტიდან. თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვ. კანკავამ გვითხრა, რომ ახლავე, სასწრაფოდ, თანამშრომლებთან ერთად მიემგზავრება სოფელ ძეგვში ავადმყოფ გიორგი რთველიაშვილთან და ოჯახთან შეათანხმებენ გადაუდებელი დახმარების საკითხებს.**

**დაგვირეკა თბილისელმა დიასახლისმა მერი კვიცარიძემ, რომელმაც გვითხრა, რომ თბილისში ის იცნობს ბევრ მოხუცებულს, რომელიც მარტო ცხოვრობს ბინაში, იქნებ რომელიმე მათგანმა შინ მიიღოს და მოუაროს კიდეც ავადმყოფს. — ნუთუ დედა ტერეზა ქართველებს შორის არ მოიძებნება? გთხოვთ, თქვენი გაზეთის მეშვეობით დასვათ ეს შეკითხვა — გვითხრა ქალბატონმა მერიმ.**

**რედაქცია მადლობას მოახსენებს ყველას გამოხმაურებისთვის. კვლავაც ველით წინადადებებს.**

## მედლებით დაბრუნდნენ

**საკავშირო** შეჯიბრებაში, რომელშიც 220-მდე ახალგაზრდა ჩოგბურთელი სპორტსმენი მონაწილეობს, რა თქმა უნდა, გამარჯვება საამაყოა. ასეთ წარმატებას მიაღწია საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა, სპორტის ოსტატმა ლიანა ტამიროვამ სარატოველ ს. დორონინასთან წყვილთა ასპარეზობაში. ეს იყო მოზარდთა საკავშირო პირველობა, რომელსაც კიევში სპორტკლუბ „ანტეის“ კორტები მასპინძლობდა. ერთეულთა თანრიგში კი იგი III საპრიზო ადგილზე გავიდა.

ასპარეზობიდან მედლებით დაბრუნდნენ აგრეთვე თბილისის დინამოელები დავით ოძელაშვილი, რომელმაც ვერცხლის ჯილდო წყვილთა თანრიგში გამოსვლის შედეგად დაიმსახურა და ანა გასპარიანი. ამ უკანასკნელს წყვილთა შეჯიბრებაში „ბრინჯაო“ ერგო.

რაც შეეხება გუნდურ პირველობას, ბავშვთა სპორტსკოლებს შორის თბილისის „ნორჩი დინამოელი“ III ადგილზე გავიდა კიშინიოვის თანაკლუბელთა და მოსკოვის ცსკა-ს კვალდაკვალ, რისთვისაც ბრინჯაოს მედლები ერგოთ მ. ძაგანიას, დ. ოძელაშვილს, დ. გოგილაშვილს, ი. სიამაშვილსა და ი. რუხაძეს.

**ა. მალაიანცი,**
**საკავშირო კატეგორიის მსაჯი ჩოგბურთში.**

# დღეს ორი მატჩია

**დღეს**, 26 აგვისტოს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე, ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის XXII ტურის მატჩში თბილისის „დინამო" დუშანბეს „პამირს" შეხვდება. ეს შეხვედრა 20 საათზე დაიწყება. სათადარიგო შემადგენლობათა მატჩს დღეს 12 საათზე „ლოკომოტივის" სტადიონი უმასპინძლებს.

## I ლიგა

**გუშინ** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 28-ე ტურის შეხვედრები. ლანჩხუთის „გურიამ" მიიღო დონის როსტოვის „როსტსელმაში".

თამაში დამთავრდა ლანჩხუთელთა გამარჯვებით — 3:2. ქუთაისის „ტორპედო" ბაქოში დამარცხდა „ნეფთჩისთან" 0:2, ალმაათის „ქაირატმა" უმასპინძლა რიგის „დაუგავას" და გაიმარჯვა — 3:0.

## II ლიგა

**გაიმართა** II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი, XXX ტურის შეხვედრები: „ნარტი" (ჩერქესკი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 2:0, „ლოკომოტივი" (მინ. წყლები) — „დილა" (გორი) 3:0, „ხაზარი" (სუმგაითი) — „კოლხეთი" (ხობი) 0:0, „ხაზარი" (ლენქორანი) — „დინამო" (სოხუმი) 0:0, „ტორპედო" (ვოლჟსკი) — „ზვეზდა" (გოროდიშჩე) 1:2, „ატომმაში" (ვოლგოდონსკი) — „ტექსტილშჩიკი" (კამიშინი) 0:4, „კოლხეთი" (ფოთი) — „ტერმისტი" (ბაქო) 2:0, „მერცხალი" (ოზურგეთი) — „დინამო" (მახაჩყალა) 3:1, „მეტალურგი" (რუსთავი) — „გოიაზანი" (ყაზახი) 2:0, ომც (თბილისი) — „შევარდენი" (თბილისი) 1:5.

# 6 სექტემბრის შეხვედრის წინ

**23 აგვისტოს** პოლონეთის ქალაქ ლიუბლინის „ზაგლემბეს" სტადიონზე გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი პოლონეთისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის.

საბჭოთა ფეხბურთელებს სულ მალე, 6 სექტემბერს, მსოფლიო ჩემპიონატის ოფიციალური შესარჩევი მატჩი ექნებათ ავსტრიის გუნდთან. ეს შეხვედრა მეტად მნიშვნელოვანია, გამარჯვების შემთხვევაში ჩვენი ფეხბურთელები მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ საგზურს ინაღდებენ III შესარჩევ ჯგუფში.

პოლონელები ამ თამაშში მინდორზე პირველად გამოვიდნენ ახალი მწვრთნელის ანჯეი სტრეილიაუს ხელმძღვანელობით. ისინი ენერგიულად, მონდომებით მოქმედებდნენ, რაც შეეხება საბჭოთა ნაკრებს, აქ რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოვიდა და მატჩიც საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა.

ანგარიში 30-ე წუთზე გახსნა კირიაკოვმა: მან კარგად შეურჩია ადგილი დობროვოლსკის გადაცემას, პოლონელთა მეკარემ ბაკომ ვერ შეძლო ბურთის აღება, მოიგერია იგი, ამით კარგად ისარგებლა საბჭოთა ნაკრების დებიუტანტმა და გოლი გაიტანა — 1:0. საერთოდ ამ მატჩში კირიაკოვმა, დობროვოლსკიმ და ჩერენკოვმა კარგად გამოიჩინეს თავი.

შესვენების შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელები ერთხანს კიდევ აქტიურად უტევდნენ მეტოქეს, შემდეგ მდგომარეობა გათანაბრდა და 61-ე წუთზე ვდოვჩიკმა თავური დარტყმით საპასუხო ბურთი გაიტანა ხარინის კარში. მატჩი ასეც დამთავრდა — 1:1.

თამაშის დამთავრების შემდეგ საბჭოთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვ. ლობანოვსკიმ კმაყოფილება გამოთქვა გუნდის თამაშით, მან აღნიშნა, რომ ძნელი გამოცდა კარგად ჩაატარეს ნაკრების ახალგაზრდა ფეხბურთელებმა. რაც შეეხება პოლონელთა ხელმძღვანელს ა. სტრეილიაუს, მან მაღალი შეფასება მისცა მეტოქეს, განსაკუთრებით ნაკრების ახალგაზრდა ფეხბურთელებს.

ეს იყო სსრ კავშირისა და პოლონეთის ფეხბურთელთა მეთოთხმეტე შეხვედრა. 8 მატჩი მოიგეს საბჭოთა ფეხბურთელებმა, 3 — ფრედ დამთავრდა, ხოლო 3 — პოლონელმა ფეხბურთელებმა. გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდებაა 28:10 საბჭოთა ნაკრების სასარგებლოდ.

იმავე დღეს ფინალის საგზურებისთვის ბრძოლაში საბჭოთა გუნდის მთავარმა კონკურენტმა ავსტრიის ნაკრებმა ზალცბურგში მიიღო ისლანდიის ნაკრები. გაიმარჯვეს ავსტრიელებმა — 2:1. 49-ე წუთზე ანგარიში გახსნა ავსტრიელმა პფაიფენბერგერმა, საპასუხო ბურთი მცირე ხანში გაიტანა მარგაირსონმა, 62-ე წუთზე კი ჩაკმა გამარჯვება მოუტანა ავსტრიელებს.

გაგაცნობთ გამარჯვებული გუნდების შემადგენლობებს, — ისინი 6 სექტემბერს [illegible] ერთმანეთს ავსტრიელთა მინდორზე: **სსრ კავშირი** — ჩანოვი (ხარინი), კეტაშვილი (კონჩელსკისი), ფოკინი (კირიაკოვი), გორლუკოვიჩი, ლუჟნი, კულკოვი, ბალი, დობროვოლსკი, ჩერენკოვი, ზიგმანტოვიჩი, შმაროვი (კოლივანოვი), როდიონოვი. **ავსტრიელებმა** ისლანდიის გუნდთან ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ლინდენბერგერი, ვებერი, პეცლი (შრაიტერი), ჰერცოგი (ჰერტნაგლი), პფეფერი, ჩაკი, რუსი, ლინც-მაიერი, ოგრისი, როდაქსი, პფაიფენბერგერი.

III შესარჩევი ჯგუფის ცხრილი 26 აგვისტოსთვის:

| | თ. | მ. | ფ | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირი** | 5 | 3 | 2 | 0 | 8-2 | 8 |
| **ავსტრია** | 5 | 2 | 2 | 1 | 6-6 | 6 |
| **თურქეთი** | 5 | 2 | 1 | 2 | 8-6 | 5 |
| **ისლანდია** | 6 | 0 | 4 | 2 | 4-7 | 4 |
| **გფრ** | 5 | 1 | 1 | 3 | 4-9 | 3 |

# „გამძვინვარებული" ფანატიკოსები

ანდიჯანის „სპარტაკისა" და ნამანგანის ლენინური კომკავშირის სახელობის სტადიონებზე გამართული მეორე ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო პირველობის გათამაშების მატჩების შემდეგ, მსაჯთა ბრიგადების „გადაწყვეტილებით უკმაყოფილო „გულშემატკივრებმა" ნამდვილი დებოში მოაწყვეს. ანდიჯანში დაზარალებულები არ ყოფილან, ნამანგანში კი უფრო სერიოზულად იყო საქმე. მსაჯთა ოთახს გარს შემოერტყა ხუთასკაციანი ბრბო, რომელიც ცდილობდა გასწორებოდა არბიტრებს, მაგრამ იგი მილიციის თანამშრომლებმა და შინაგანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებმა შეაჩერეს. წესრიგისკენ მრავალგზის მოწოდებას „გულშემატკივრებმა" ქვების დაშენით უპასუხეს, ჩალეწეს სტადიონთან მდგარი ავტობუსებისა და მსუბუქი მანქანების მინები.

ინციდენტის ლიკვიდაციის დროს დაზარალდა 14 მილიციის თანამშრომელი და შინაგანი ჯარების სამხედრო მოსამსახურე, 2 წესრიგის დამრღვევი საავადმყოფოში მოათავსეს.

დაკავებულია 7 ყველაზე აქტიური ხულიგანი. მათ შორის აბდუმუტალ კარიმბაევი — ახალგაზრდა ნამანგანელი, ავტობაზის მტვირთავი, რომელიც ორჯერ უკვე იყო ნასამართლევი.

ნამანგანის თამაშს ემსახურებოდა ტაშკენტის მსაჯთა ბრიგადა რესპუბლიკური კატეგორიის არბიტრის რ. სერიზეტდინოვის ხელმძღვანელობით. მილიციის კომპეტენციაში არ შედის იმის განსაზღვრა, თუ რამდენად ობიექტური იყო მსაჯთა გადაწყვეტილებები მატჩის მსვლელობისას. საგანგაშო სულ სხვა რამაა. რამდენიმე თვის წინათ ანალოგიური უწესრიგობა უკვე მოხდა რესპუბლიკის ბევრ სტადიონზე, კერძოდ, ნამანგანის ოლქის ქალაქ კასანსაიში, სადაც გულშემატკივრები არღვევდნენ წესრიგს. მაგრამ უზბეკეთის სსრ სპორტსახკომს არავითარი ქმედითი ზომები არ გაუტარებია სტადიონის მიმართ.

სპორტსახკომს რომ ამ სტადიონების სადისკვალიფიკაციო სანქციები გაეცა, როგორც საერთაშორისო სპორტულ პრაქტიკაშია მიღებული, ალბათ, მსგავსი აღვირახსნილობა თავიდან აცილებული იქნებოდა.

ამ მოვლენათა ამსახველი მასალა გადაეცემა რესპუბლიკურ პროკურატურას სისხლის სამართლის საქმის აღსაძვრელად. მზადდება მორიგი წარდგინებაც უზბეკეთის სსრ სპორტსახკომში. როგორი იქნება ამჯერად მისი პოზიცია?

### უცხოეთის ფეხბურთის ამბები

**იტალიის** „უდინეზემ" შეავსო უცხოელთა ლიმიტი. არგენტინულ დუეტს სენსინი-ბალბოს დაემატა 31 წლის ესპანელი გალიეგო, რომელიც წლების განმავლობაში მადრიდის „რეალის" ღირსებას იცავდა. ამრიგად, უცხოელთა 3-კაციანი ლიმიტი შესავსები დარჩა მხოლოდ სამ კლუბს. ესენა: „რომა", „კრემონეზე" და „ბოლონია."

**რინუს** მიხელსი კვლავ ჰოლანდიის ნაკრებში იმუშავებს. ახლა იგი დაინიშნა უცხოეთში მოთამაშე ფეხბურთელებთან კონტაქტების პასუხისმგებლად. ეს ზომა მიღებულია ნაკრების უფროსი მწვრთნელის ლიბრეხტსისა და „მილანში" მოთამაშე ჰოლანდიელთა (გულიტი, ვან ბასტენი, რიიკარდი) კონფლიქტის გამო. ჰოლანდიის ფედერაციის მესვეურები იმედოვნებენ, რომ მიხელსი მოაგვარებს ამ უსიამოვნებას.




**ბელგიის** ნაკრების ყოფილი მეკარე მუნარონი, რომელმაც მთელი სპორტული კარიერა ბრიუსელის „ანდერლეხტში" გაატარა, ახალ გუნდში გადადის. ესაა „ფკ ლიეჟი". სანაცვლოდ „ლიეჟმა" დათმო თავისი იუგოსლაველი მეკარე სტოიჩი.

**ზაგრები.** საფრანგეთის „ოსერმა" იუგოსლავიის ამ ქალაქში ანგარიშით 3:1 დაამარცხა ადგილობრივი „დინამო". ეს იყო უეფა-ს თასის გათამაშების წინასწარი ეტაპის საპასუხო მატჩი, საფრანგეთის „ოსერი" უეფა-ს თასის ოცდამეთორმეტედფინალში ითამაშებს.

**ჰელსინკი.** ფინეთისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2. ფინელთაგან ბურთები გაიტანეს ტარკიომ და უკონენმა, ხოლო სტუმართაგან — პანჩევმა და სავიჩევიჩმა.

**ბრიუგე.** ბელგიელ ფეხბურთელთა სრული უპირატესობით წარიმართა მათი ამხანაგური შეხვედრა დანიის ნაკრებთან — 3:0 (2:0). გუნდის კაპიტანმა კულემანსმა 82-ე შეხვედრა ჩაატარა ბელგიის ნაკრების შემადგენლობაში, ეს სარეკორდო მაჩვენებელია ამ გუნდისთვის.

**ოსლო.** ფრედ დამთავრდა ნორვეგიისა და საბერძნეთის გუნდების ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა — 0:0.

**ერფურტი.** გდრ-ის ნაკრებმა ამხანაგური შეხვედრა გამართა ბულგარეთის გუნდთან. თამაში ფრედ დამთავრდა — 1:1. ორივე ბურთი პირველ ტაიმში გაიტანეს კირსტენმა (გდრ) და იორდანოვმა (ბულგარეთი).

6 სექტემბერს გდრ-ის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს ჩაატარებს ისლანდიაში.

# ტაქტიკა უწინ... და ახლა

**საფეხბურთო** სამყარო იმედგაცრუებული არ უნდა იყოს იმის გამო, რომ ევროპის ბოლო ჩემპიონატზე გფრ-ში რაღაც განსაცვიფრებელი ტაქტიკური აღმოჩენები ვერ ვიხილეთ. „ტაქტიკური რევოლუციები" მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების ფინალებში ახლა ნაკლებად ხდება. მწვრთნელებს, ვთქვათ, ფრანც ბეკენბაუერს (გფრ), რინუს მიხელსს (ჰოლანდია) ან მიგელ მუნიესს (ესპანეთი) რაიმე ახალი ბრწყინვალე იდეა რომ გასჩენოდათ, არც ერთი მათგანი არ დაელოდებოდა ევროპის ჩემპიონატს, რათა მისი დემონსტრაცია მოეხდინა. ეს მეტისმეტად სარისკო იქნებოდა — წარუმატებლობის შემთხვევაში მხოლოდ გაუგებრობასა და თანამდებობიდან დაუყოვნებლივ გადაყენებას გამოიწვევდა.

თანამედროვე ფეხბურთში პირველად ინგლისის კლუბმა „არსენალმა" მიაქცია ყურადღება ოციანი წლების ბოლოს ტაქტიკური „რევოლუციური გარდაქმნების" მნიშვნელობას. დღევანდელთან შედარებით მაშინ ურთიერთკავშირის საშუალებები სიყრმის პერიოდში იყო: არ არსებობდა ტელევიზია, არ არსებობდა შესაძლებლობა ერთი საღამოს განმავლობაში ყველანი ყველაფერში გარკვეულიყვნენ და მოედიდან გამოსული შემტევი ცენტრალური ნახევარმცველი (ცენტრჰავი) სწრაფად შეეცვალათ ახალი ფიგურით — სტოპერით, დაცვის ცენტრალური მოთამაშით.

იმ დროის გამოჩენილმა მწვრთნელმა ჰერბერტ ჩემპენმა და „არსენალის" გონიერმა ინსაიდმა ჩერლი ბუჩანმა თამაშის გაქვავებული ტრადიციული ტაქტიკის შეცვლის აუცილებლობა იგრძნეს. „ოფსაიდის" წესის შეცვლამ (თამაშგარე მდგომარეობა არ აღინიშნებოდა, თუ თავდამსხმელს წინ მოწინააღმდეგის ორი ფეხბურთელი ეყოლებოდა, ნაცვლად უწინდელი სამისა) მათ ძიებისკენ უბიძგა და ასეთ გადაწყვეტილებამდე მიიყვანა: ცენტრჰავი სტოპერით შეეცვალათ. ნუ დავიწყებთ, რომ მათ განკარგულებაში იყო ლიგის თამაშების უსაზღვრო რაოდენობა, სადაც შეეძლოთ გამოეცადათ და დაეხვეწათ თავიანთი ახალი ტაქტიკური სქემა.

რა ნელა იკიდებდა ფეხს საფეხბურთო იდეები იმ წლებში! იტალია, ქვეყანა, რომელიც მაშინდელ ევროპაში ყველაზე სწრაფად ითვისებდა საფეხბურთო სიახლეებს, 1934 წლამდე თამაშობდა უსტოპეროდ და მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ გადავიდა ახალ ტაქტიკაზე, ავსტრიას კი 50-იანი წლების დამდეგამდე ჰყავდა შემტევი ცენტრჰავი, თუმცა, ავსტრიის ნაკრებს ამის მიზეზი ჰქონდა: გუნდში თამაშობდა ამ ამპლუის დიდი ოსტატი ერნსტ ოცვირკი.

50-იანი წლების დამდეგს უნგრეთის ნაკრებმა „არსენალში" დანერგილი ტაქტიკური სიახლის დაძლევის საშუალებას მიაგნო. 20-30-იან წლებში ცენტრალური ევროპის ქვეყნების გუნდების ცენტრფორვარდს მხოლოდ გოლები როდი გაჰქონდა, იგი თავისებური სამხატვრო ხელმძღვანელი იყო, რომელიც მთელ შეტევას წარმართავდა ისე, როგორც, ვთქვათ, დიდი ავსტრიელი ცენტრფორვარდი მათიას სინდელიარი ან უნგრელი დიორდ შაროში.

40-იან წლებში პროფესიონალიზმის განვითარებასთან ერთად, ბუნებრივია, ვითარდებოდა ტაქტიკაც და აი, განთქმულმა უნგრელმა მწვრთნელმა გუსტავ შებეშმა თვალნათლივ დაინახა ჩემპენის მიერ შექმნილი სისტემის სუსტი მხარეები (პირველ ყოვლისა, დაცვაში). შებეშმა უკან, „სიღრმეში" დააყენა ცენტრალური თავდამსხმელი, ინსაიდები კი წინა ხაზზე წასწია. ამავე დროს, ნახევარმცველებს მეტოქის ინსაიდთა ბლოკირება დაავალა.

სანიმუშო გაკვეთილი, რომელმაც ობიექტურად დაადასტურა, რომ ჩემპენის სისტემა მოძველდა, უნგრეთის ნაკრებმა ჩაატარა ლონდონში, „უემბლის" სტადიონზე, სადაც საკუთარ მინდორზე დაუმარცხებელ ინგლისის ნაკრებს დიდი ანგარიშით სძლია — 6:3. ამ მატჩში ინგლისელთა ცენტრალურ მცველს ჰარი ჯონსონს არაფერი გაუკეთებია — იგი, უბრალოდ, „სიცარიელეში" აღმოჩნდა და შემდგომ აღარასოდეს მიუწვევიათ ეროვნულ გუნდში. არადა, ჯონსონს არაფერი დაუშავებია — „დამნაშავე" იყო მოძველებული ტაქტიკური სისტემა, გაქვავებული, მოუქნელი აზროვნება.

ხუთი წლის შემდეგ ბრაზილიამ, რომლის ბრწყინვალე გუნდი ახალი ტაქტიკური სქემით თამაშობდა, მოიგო შვეციის მსოფლიო ჩემპიონატი. ამ სქემას 4-2-4 ეწოდა: ოთხი მცველი, ორი ნახევარმცველი და ოთხი თავდამსხმელი. თუ საფეხბურთო სამყაროსთვის ეს მოულოდნელი სიახლე იყო, ამას ვერ ვიტყვით სამხრეთამერიკელებზე. მას შემდეგ, რაც ბრაზილიური კლუბის „ფლამენგოს" ფეხბურთელები სამხრეთ ამერიკაში პირველები გადავიდნენ ამ ტაქტიკაზე, ბრაზილიისა და ურუგვაის კლუბები მსგავს ტაქტიკურ ვარიანტებს უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში მიმართავდნენ.

ევროპამ ავტომატურად გადმოიღო სქემა. 4-2-4. იგი ყველგან და ერთბაშად გაბატონდა. ყველგან, გარდა იტალიისა. იტალიურ ფეხბურთს მაშინ უკვე ჰქონდა თავისი ჩამოყალიბებული დაცვითი ტაქტიკა — „კატენაჩიო" (კლიტე). „კატენაჩიოს" სქემა იმ დაცვითი სისტემისგან წარმოიშვა, რომელიც გამოიგონა და შვეიცარიაში დანერგა ცნობილმა ავსტრიელმა მწვრთნელმა კარლ რაპანმა და იგი იტალიაში თავისებურად გააუმჯობესეს ალფრედო ფონიმ „ინტერში" და ნერეო როკომ „პადუაში".

60-იან წლებში ჩვენ ამ სქემის (4-2-4) სხვადასხვა ვარიანტი ვიხილეთ, თავად ბრაზილიელებმა კი 1962 წელს ნახევარდაცვის გაძლიერების მიზნით უკან დასწიეს მარცხენა გარემარბი მარიო ზაგალო. შემდგომ, 1966 წელს, ინგლისმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა დაცვის გასაძლიერებლად, საერთოდ უარი თქვა გარემარბებზე და ნახევარდაცვაში გადაიყვანა კიდევ ერთი ფორვარდი (ალან ბოლი). ასე წარმოიშვა სქემა 4-4-2, რომელიც თითქმის თხუთმეტ წელს ბატონობდა მრავალი ქვეყნის ჩემპიონატებში, დასავლეთ ევროპის ქვეყნები და სამხრეთამერიკელები (არგენტინელები, ურუგვაელები, და თვით ბრაზილიელებიც კი) ამ დაცვითი ტაქტიკური სტილის ტყვეობაში აღმოჩნდნენ.

1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ჰოლანდიელთა განსაცვიფრებელი ტოტალური ფეხბურთი ადრინდელი გზიდან საგრძნობი გადახვევა უფრო იყო, ვიდრე ისეთივე მკვეთრი ტაქტიკური მანევრი, როგორებზეც ზემოთ ვილაპარაკეთ. ჰოლანდიელებს ჰქონდათ დიდებული სტილი, მაგრამ იგი ათლეტურ სიმარდესა და ტაქტიკურ ინტელიგენტობაზე იყო დაფუძნებული (ამ თვისებებით კი ბუნება ადამიანს ძალიან იშვიათად აჯილდოებს). ჰოლანდიას მაშინ ბედმა გაუღიმა და იოჰან კრუიფის, იოჰან ნეესკენსისა და რუდი კროლის მეთაურობით ერთბაშად მოვიდა საოცარ ფეხბურთელთა თაობა. ისინი იყვნენ სუპერათლეტური, სუპერტექნიკური, სუპერინტელექტუალური სპორტსმენები. მათ მატჩის სხვადასხვა მონაკვეთში ერთნაირად კარგად შეეძლოთ თამაში.

ტოტალური ფეხბურთის ჩასახვიდან 14 წლის შემდეგ მატჩებში ტემპი და ძალა იმდენად გაიზარდა, რომ 1974 წლის ჰოლანდიის ნაკრებს დღეს, ალბათ, უბრალოდ სირბილითა და ღონით დაჯაბნიდნენ.

თუკი გავითვალისწინებთ ყველა იმ ტაქტიკურ სტადიას, რომლებიც ფეხბურთმა გაიარა, ცხადი გახდება, რომ ახალი ტაქტიკური მანევრებისთვის სულ უფრო მცირე სივრცე რჩება. და, მაინც, ტაქტიკური აზროვნება ჯერ კიდევ ფრიად მნიშვნელოვანია, ეს ევროპის 1984 წლის ჩემპიონატმაც დაამტკიცა. იგულისხმება სქემა 3-5-2. რამდენადაც ნაკრებთა უმეტესობა მხოლოდ ორი თავდამსხმელით თამაშობდა, უაზრობა იყო მათ წინააღმდეგ ოთხი მცველის გამოყვანა. საფრანგეთის, გფრ-ის, დანიისა და ესპანეთის ნაკრე-

ის. ვე.4 ვვ.

# „გინესის“ უმცროსი ძმა

„**გინესის** რეკორდების წიგნი“ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გამოცემაა. სამწუხაროდ, ჩვენში დღემდე იგი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. არადა, რამდენ ინფორმაციას შეიცავს, რამდენი ისეთი ცნობაა მასში, რაც აქამდე ყურმოკვრითაც არ გაგვიგია (რა თქმა უნდა, „გინესის“ ერთეულ ბედნიერ მფლობელებს არ ვგულისხმობთ). არადა, ამ მეტად საინტერესო წიგნის შემდგენლებმა ჯერ კიდევ 1955 წელს სცადეს ჩვენს ქვეყანასთან კავშირის დამყარება, მაგრამ...

და აი, ამიერიდან ჩვენთანაც გაჩნდება ასეთი გამოცემა — **პარი** (პარადოქსები, რეკორდები, იდეები). თუმცა, ეს არ არის „გინესის“ სრული ასლი. ამ წიგნიდან უფრო მეტის გაგება შეიძლება. გარდა იმისა, რომ აქ იქნება ყველაფერი ყველაზე... ყველაზე.. ყველაზე... იქნება, აგრეთვე, ისეთი ცნობებიც, რომლებსაც ვერ შეხვდებით „გინესის რეკორდების წიგნში“. მაგალითად, ცნობებს ექსტრასენსებზე, ნათელმხილველებზე, ამოუცნობ მფრინავ ობიექტებზე და ა. შ.

გარდა ამისა, **პარი** იძლევა იმის საშუალებას, რომ ის რეკორდები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მყარდება, გაიგოს მთელმა მსოფლიომ. ერთი სიტყვით, ჩვენი ქვეყნის პოტენციურ რეკორდსმენებს ახლა უკვე თავისუფლად შეუძლიათ პოპულარობის მოხვეჭა, რადგანაც **პარი-ს** ენციკლოპედიას არა აქვს ეროვნული საზღვრები და მაგალითად, ტყიბულელ ზაქარო ცირეკიძეს, რომელიც, ალბათ გახსოვთ, „დინამოს“ სტადიონზე საათნახევრის განმავლობაში აქნევდა ბურთს, თავისუფლად შეუძლია საკუთარი ადგილის პოვნა მის ფურცლებზე.

ამისათვის კი საჭიროა მიმართოთ **პარი-ს** სააგენტოს, გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ მისამართზე.

# სად „დაიბადა“ კეტბურთი?

## ამ კითხვას უპასუხებს ამერიკული ჟურნალი „სქაი“

**კეტბურთი** ამერიკელთა საყვარელი და საამაყო გატაცებაა. მათ მტკიცედ სჯერათ, რომ კეტბურთის სამშობლო ამერიკაა.

მითი, კეტბურთის ამერიკაში ჩასახვაზე, შეიქმნა ამ საუკუნის დასაწყისში ელბერტ სპალდინგის მცდელობით. სპალდინგი ითვლება პირველ პროფესიონალ მტყორცნელად ამერიკულ კეტბურთში, შემდგომში კი მან დააარსა სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ცნობილი ფირმა. თუმცაღა, პირველნი, ვინც გასული საუკუნის მიწურულს ამ პოპულარული თამაშის სათავეებთან იდგნენ, გახლდათ კეტბურთის ფრიად აღიარებული ავტორიტეტები — სპორტული ჟურნალისტი ჰენრი ჩედვიკი და პირველი პროფესიული გუნდის დამაარსებელი ჰარი რაიტი. ისინი თვლიდნენ, რომ კეტბურთის ფესვები ინგლისშია საძიებელი — ჩედვიკის აზრით, კეტბურთი „ენათესავებოდა“ ინგლისურ რიკ-ტაფელას, რაიტი კი კრიკეტს „ადებდა ხელს“, მაგრამ მათი მოსაზრებანი აღშფოთებით უარყვეს — მაშინდელი ამერიკელების ეროვნული სიამაყე საკითხის „შინაურულ“, „სათავისო“ გადაწყვეტას ესწრაფვოდა. ჩედვიკი და რაიტი ინგლისიდან არიან. ესოდენ მნიშვნელოვან საქმეში მათი ნდობა არ შეიძლება, — ამბობდნენ შტატებში. ის კი არა, სპალდინგმა სახალხოდ განაცხადა: კეტბურთი იმდენად სრულყოფილი თამაშია, იგი ინგლისში ვერ შეიქმნებოდაო. მანვე ჩამოაყალიბა კომიტეტი, რომელსაც დაავალა კეტბურთის მხოლოდ და მხოლოდ ამერიკელი „ფუძემდებლის“ პოვნა. იგრძნო რა, რომ დიდი ხარჯების მიუხედავად, კომიტეტის მუშაობა უნაყოფო იყო, სპალდინგი თვითონ შეუდგა საქმეს. და აი, მან მიიღო ოთხმოცი წლის ევნერ გრეივსის წერილი. მახსოვს, 70 წლის წინათ ამერიკელმა ევნერ დაბლდეიმ თავის მეგობრებს მის მიერ ის-ის იყო გამოგონებული თამაში გააცნოო—იწერებოდა გრეივსი. სპალდინგმა გამოარკვია, რომ დაბლდეი დამოუკიდებლობისათვის ომში იბრძოდა და გენერალ-მაიორის წოდებაც კი დაიმსახურა. ამგვარ წარმატებაზე სპალდინგს მხოლოდ ოცნება თუ შეეძლო — ამერიკელთა საყვარელი თამაში თურმე ეროვნულ გმირს მოუგონებია! ასე გამოცხადდა დაბლდეი კეტბურთის გამომგონებლად, მისი მშობლიური ქალაქი კუპერსტაუნი კი კეტბურთის სამშობლოდ „ეკურთხა“.

იდეას, ექციათ კუპერსტაუნი კეტბურთის ცენტრად, მაშინვე არ დაუჭირეს მხარი. 20-იანი წლების გულშემატკივრებს, კეტბურთის სათავეებზე მეტად, თავიანთი საყვარელი გუნდების წარმატებები უფრო აინტერესებდათ. და აი, დადგა 30-იანი წლები, ეკონომიკური კრიზის ხანა, და კუპერსტაუნის ხელისუფალთ გაახსენდათ, რომ მათი ქალაქი კეტბურთის სამშობლოა. ამას დაემატა ისიც, რომ 1935 წელს აღინიშნებოდა კეტბურთის 100 წლისთავი.



ზეიმის მოწყობა თავს იდვეს კუპერსტაუნელმა ბიზნესმენმა სტივენ კლარკმა და კეტბურთის ეროვნული ლიგის პრეზიდენტმა ფორდ ფრიკმა. მათთვის სულ ერთი იყო, ვინ და სად გამოიგონა კეტბურთი —კლარკს მხოლოდ ქალაქის ეკონომიკური გამოცოცხლება აინტერესებდა, ფრიკს კი ეკონომიკური კრიზისით გულდამძიმებული ამერიკელების კეტბურთისკენ შემობრუნება.

იმ ადგილზე, სადაც გადმოცემის თანახმად, ჭაბუკმა ევნერ დაბლდეიმ პირველად აიღო ხელში კეტი და ბურთი, აშენდა საკეტბურთო სტადიონი „დაბლდეი ფილდი“. აქ 1935 წელს გაიმართა პირველი მატჩი „ყველა ვარსკვლავის“ მონაწილეობით. კუპერსტაუნში გაიხსნა კეტბურთის დიდების დარბაზი, მაშინვე გადაწყდა, გახსნილიყო კეტბურთის მუზეუმიც. ზეიმი მართლაც უნაკლოდ ჩატარდა და 1939 წლიდან ამერიკის საუკეთესო კეტბურთელები ყოველ წელს იკრიბებიან კუპერსტაუნში „ვარსკვლავთა მატჩზე“.

ზოგიერთი წუწუნებს, კუპერსტაუნი მოუხერხებელ ადგილზე, ნიუ-იორკის შტატის განაპირას მდებარეობს, იქ მისვლა ძნელია და ქალაქიც ძალზე პატარააო. ამერიკელთა უმრავლესობა კი თვლის, რომ კეტბურთის სამშობლოდ ამაზე უკეთეს ადგილს ვერავინ ინატრებდა: რა უნდა იყოს ამ პატარა, წყნარ, ტიპიურ ამერიკულ ქალაქზე მიმზიდველი? დიახ, თუ კეტბურთი სადმე უნდა „დაბადებულიყო“, სწორედ რომ კუპერსტაუნში.

# ტაქტიკა უწინ... და ახლა

(დასასრული)

ბებმა ერთ-ერთი მცველი წინ იმიტომ წასწიეს, რომ შუა ხაზი გაეძლიერებინათ. ფრანგებმა, მაგალითად, შემტევი მცველი მანუელ ამორო ნახევარდაცვაში გადაიყვანეს. თუმცა, მიშელ იდალგოს ეს გეგმა რამდენადმე დაირღვა — დანიელებთან თამაშისას ამორო მოედნიდან გააძევეს, შემდეგ კი დისკვალიფიკაცია მისცეს.

საშინაო ჩემპიონატებში ახლაც დიდად აფასებენ პრინციპს: „უპირველეს ყოვლისა — საკუთარი კარის უსაფრთხოება“. აქ გუნდებს შეხვედრის დასაწყისში აქტივში ის ერთი ქულა მაინც აქვთ, რომლის შესანარჩუნებლადაც შეუძლიათ იბრძოლონ. აი, უმაღლესი რანგის საერთაშორისო ტურნირებში კი საჭიროა მოგება, ე. ი. აუცილებელია მეტი მრავალმხრივობა.

ბოლო მსოფლიო ჩემპიონატზე ეს ჩვენ ვნახეთ არგენტინის ნაკრების მაგალითზე. სხვადასხვა მიზეზთა გამო (ტრავმები, დისკვალიფიკაცია) კარლოს ბილარდო იძულებული გახდა მინდორზე, სამი ცენტრალური მცველი (ბრაუნი, კუსიუფო, რუჯერი) და ხუთი ნამდვილი ნახევარმცველი (ჰიუსტი, ბატისტა, ოლარტიკოეჩეა, ბურუჩაგა და ენრიკე) გამოეყვანა. ფინალში არგენტინელების სქემას 3-5-2 ტაქტიკური და ტექნიკური უპირატესობა ჰქონდა გერმანელების 5-3-2-თან შედარებით. ეს დაცვითი სქემა იმიტომაც იქნა არჩეული, რომ ევროპელები ეხსნა დიდ სიმაღლეზე სიცხეში თამაშისას არასასურველი შედეგებისაგან.

ევროპის ბოლო ჩემპიონატის მატჩების ცქერისას, დღითიდღე ვრწმუნდებოდით, რომ ყველასთვის ცნობილ ტაქტიკურ სქემათა უმნიშვნელო ვარიაციებთან უფრო გვქონდა საქმე, ვიდრე მათ ნამდვილ ალტერნატივებთან. მაგალითად: ძნელია სიახლე ეწოდოს ჰოლანდიელთა მიერ შემტევი ცენტრალური მცველის გამოყენებას. გფრ-ის ნაკრების მწვრთნელმა ფრანც ბეკენბაუერმა ხომ 60-იანი და 70-იანი წლების მიჯნაზე პირველმა მიმართა ამ ტაქტიკურ ხერხს, რომლის საუკეთესო შემსრულებლადაც დღემდე ითვლება. ბედის ირონიაა, რომ ამჯერად ნახევარფინალში სწორედ გფრ-ის ნაკრები აღმოჩნდა ჰოლანდიელთა გუნდის ტაქტიკის მსხვერპლი, არადა, ფრანკ რიიკარდისა და რონალდ კუმანის სტილი, არსებითად, ბეკენბაუერის მაშინდელი სტილის განმეორებაა.

მაყურებელი, რომელმაც ჩემპიონატის მატჩები ტელევიზიით იხილა, ძნელად თუ შეამჩნევდა რაიმე ტაქტიკურ სიახლეს. ტელევიზორი დიდებულ საშუალებას გვაძლევს დავტკბეთ საუკეთესო ეპიზოდების, ოსტატობის განმეორებითი ხილვით, მაგრამ იგი უძლურია მთლიანად მოიცვას თამაშის ჭეშმარიტი ტაქტიკური და ტექნიკური სურათი, მისი ყველა ასპექტი. ტელეკამერები ძირითადად ბურთზე გვამახვილებინებენ ყურადღებას, და მინდვრის მხოლოდ მცირე ნაწილს ასახავს, ამიტომ, ბუნებრივია, მას არ შეუძლია გვაჩვენოს ყველაფერი, რაც ამ დროს თამაშში ხდება.

ასე, მაგალითად: ჰოლანდიელი გულიტის მანევრები და ტაქტიკური მრავალფეროვნება განსაკუთრებით საშიში სწორედ მაშინ არის, როდესაც იგი უშუალოდ სამოქმედო ზონის გარეთ უმატებს სიჩქარეს. და აი, მოულოდნელად ტელემაყურებელი ხედავს ჩინებულ საგოლე პოზიციაში მყოფ გულიტს. არადა, ამ ფეხბურთელის დიდი ნიჭი ყველაზე უკეთ მაშინ ჩანს, როცა იგი უბურთოდ და, აქედან გამომდინარე, ტელეეკრანის გარეთ მოქმედებს.

ჩემი აზრით, სწორედ ამიტომ ხდება, რომ ბოლოდროინდელ დიდ საერთაშორისო ტურნირებზე ელვისებური სისწრაფით იქმნება და იმსხვრევა მეკარეთა რეპუტაციები. ტელეკამერები სწორედ მათზეა ფოკუსირებული და ხან მატჩის გმირებად წარმოგვიდგენენ მეკარეებს, ხან დამარცხების მთავარ მიზეზად, ამ ორ პოლარულ კადრს შორის საშუალო არ არსებობს. საბჭოთა მეკარე რინატ დასაევი, მაგალითად, მუდამ მატჩის გმირი იყო, იგი ყოველთვის საჭირო ადგილზე აღმოჩნდებოდა ხოლმე, რათა საჯარიმო ან თავური დარტყმა მოეგერიებინა, თანაც, ერთი შეხედვით, ძალიან იოლად და მარტივად აკეთებდა ამას. და მაინც, ნუ მოვტყუვდებით. ცხადია, მეკარე, რომელიც ისევ და ისევ ნახტომით წვდება ბურთს და საჯარიმო მოედანზე იგერიებს მას, ქმნის ეფექტურ სატელევიზიო კადრს, სანახაობას მაყურებელთათვის, ოღონდ არა თანაგუნდელებისთვის, ვისთვისაც მთავარი მაინც საიმედო თამაშია.

რაკურსი მაყურებელს საშუალებას აძლევს დაინახოს, უპირველეს ყოვლისა, ინდივიდუალობა და არა ტაქტიკა. დააკვირდით ფეხბურთელს, რომელიც სადღაც ძირითადი მოვლენებისგან მოშორებით მანევრირებს, შემდგომ კი იგი სწორედ ის მოთამაშე აღმოჩნდება, ვისაც გამარჯვება მოაქვს გუნდისთვის და ვინც მთავარ სანახაობას ქმნის მაყურებლისთვის.

აი, მაგალითად: რამდენჯერაც არ უნდა ვნახოთ ფინალის ვიდეოჩანაწერი, ჰოლანდიელი მარკო ვან ბასტენი კამერის ფოკუსში არ იყო, როცა არნოლდ მიურენმა ჩინებული დიაგონალური გადაცემა გააკეთა საბჭოთა ნაკრების საჯარიმო მოედანზე. ვან ბასტენი არავის დაუნახავს, მაგრამ სწორედ იგი აღმოჩნდა საჭირო ადგილზე და გაიტანა ერთ-ერთი ყველაზე განსაცვიფრებელი გოლი ამ ტურნირში.

თუკი რამე შეიძლება ტაქტიკურ სიახლედ ჩაითვალოს ევროპის ჩემპიონატის ფინალში, ეს, უპირველეს ყოვლისა, ითქმის სიურპრიზების ტაქტიკაზე, რაც აზროვნების ხელოვნების პროდუქტია: ტაქტიკოსთა ერთი ჯგუფი ცდილობს გამოიცნოს მოწინააღმდეგის სვლები და ისევე, როგორც საჭადრაკო გამბიტში, წინასწარ გათვლილი პასუხი დაახვედროს. პასუხი, რომელიც მერე შეიძლება რამდენიმე წამში გადამწყვეტ უპირატესობად იქცეს.

და თუ გუნდში გყავთ მოთამაშე, რომელსაც ისე შეუძლია გოლების გატანა, როგორც ვან ბასტენს, ეს შეიძლება გამარჯვებისთვის საკმარისი აღმოჩნდეს.

**კირ რადნიჯი,**
**ინგლისური საფეხბურთო ჟურნალის „უოლდ სოკერის“ რედაქტორი.**

**თარგმნეს ზაზა კვერცხიშვილმა და კობა ბრეგვაძემ.**

# დრაჟენ პეტროვიჩი „პორტლენდში“

**მადრიდის** „რეალის“ კალათბურთელთა კლუბმა მიიღო კომპენსაცია მილიონ 150 ათასი დოლარის ოდენობით და ცნობილი იუგოსლაველი კალათბურთელი დრაჟენ პეტროვიჩი ამერიკის პროფესიული ლიგის ნბა-ს კლუბ „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერს“ დაუთმო. შეთანხმების თანახმად, ევროპის საუკეთესო კალათბურთელი „პორტლენდის“ შემადგენლობაში გამოვა ახალ სეზონში, რომელიც შემოდგომაზე დაიწყება. ამ გარიგებაში 25 წლის პეტროვიჩს ამერიკული კლუბი 3,8 მილიონ დოლარს გადაუხდის.

პეტროვიჩმა, რომელსაც თავისი გუნდისთვის თამაშში საშუალოდ 28-30 ქულა მოაქვს, დიდი წვლილი შეიტანა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე „რეალის“ გამარჯვებაში. იგი, ამავე დროს, ევროპის ჩემპიონატში იუგოსლაველთა წარმატების ერთ-ერთი მთავარი თანაავტორი იყო. სხვათა შორის, კონტრაქტის მიხედვით „პორტლენდი“ ვალდებულია გაუშვას კალათბურთელი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში, აგრეთვე, ოლიმპიურ თამაშებზე სასპარეზოდ (რა თქმა უნდა, იუგოსლავიის ნაკრების შემადგენლობაში).

# ჩოგბურთის ამბები

**ჯერიკო** (აშშ). უიმბლდონის წლევანდელმა ჩემპიონმა ბორის ბეკერმა (გფრ), ტრავმის გამო ვერ შესძლო გამოსვლა „ჩელენჯ კაპის“ ტრადიციულ ტურნირში. ეს კი არა, სპეციალისტების აზრით, ბეკერი აშშ-ს ღია ჩემპიონატშიც ვერ იასპარეზებს. „დიდი მუზარადის“ ეს უპოპულარულესი ტურნირი 28 აგვისტოს დაიწყება.

**ნიუ-იორკი.** აშშ-ს ღია ჩემპიონატის წინ ტარდება შესარჩევი ტურნირები, რომლებიც ძირითად ასპარეზობაში გასასვლელ ვიზებს „ანაწილებს“. ამ ტურნირის ერთ-ერთ სტარტზე ანდრეი ოლხოვსკიმ კანადელი გრანტ კონელი დაამარცხა 6:2, 6:1.

**ტორონტო.** კანადის ღია ჩემპიონატის მეორე წრეში მოულოდნელი მარცხი განიცადა ნატალია ზვერევამ. ამჯერად მას იაპონელმა ნანა მიაგიმ აჯობა 3:6, 7:6, 6:2.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**




**31 აგვისტოს, 1, 2, 3 სექტემბერს თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდება პოპულარული ინგლისელი მომღერლის სუზი კვატროს კონცერტები.**

დასაწყისი: 31 აგვისტოს, 1 და 2 სექტემბერს 20 საათზე.

3 სექტემბერს — 15 და 20 საათზე.



**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20    უე 07912